ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/20

დაბა ქედა, **17 ნოემბერი, 2022 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:35 საათზე.

სხდომას საკრებულოს სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 17 ესწრებოდა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/20 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 ნოემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ნოემბრის №01-06/20 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის მისამართით განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ: ,, - ,,თვეში რამდენჯერ გაქვთ აღებული კუთვნილი ხელფასი? პასუხი: თვეში დაახლოებით ორჯერ, ყოფილა სიტუაცია სამჯერ. ბიუჯეტიდან რამდენს იღებდით? პასუხი: მომსახურებაზე დაახლოებით ორმოციათასს წლის განმავლობაში. აქვე გრძელდება პასუხი შეიძლებოდა ამეყვანა ფიქტიურად სამი თანამშრომელი, გადამენაწილებინა მათზე ხელფასი და მათი პლასტიკური ბარათი მქონოდა ჯიბეში და ამეღო ხელფასი მე, თუმცა ასე არ გავაკეთე, სახელმწიფოს არ დავუმალე გადასახადები და ვირიცხავდი მე. კითხვაზე, მერიაში რომ წარადგინეთ რამდენმეჯერ ხელფასი, ორჯერ-სამჯერ რომ გქონდათ აღებული. პრობლემა არავის არ ჰქონია, შენიშვნაც არ მოუციათ? პასუხი: შენიშვნა, რავიცი, არავის არაფერი არ უთქვამს“. - ეს არის ინტერვიუ ტელეკომპანია პირველის ჟურნალისტსა და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი შპს-ეს დირექტორს შორის, რომელი ინტერვიუც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ტელევიზიის ეთერით და მთელმა საქართველომ გაიცნო ქედის მუნიციპალიტეტი, მაგრამ გაიცნო ცუდად. მე ძალიან მიკვირს ბატონო ამირან, დღეს, ახლა, საკრებულოს სხდომას, რომ თქვენ უძღვებით. მინდა გკითხოთ, ამ თემასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრება რა არის, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თქვენ თუ გრძნობთ და საერთოდ, ვინ უნდა აიღოს ამ ფაქტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა“?

ამასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დავით სირაბიძეს უპასუხა, რომ ამ საკითხზე არ გრძნობდა რაიმე პასუხისმგებლობას - ,,გიორგი ბარამიძე არის მოქალაქე და მის მიმართ განიხილება საქმე. თქვენ ახლა არღვევთ უდანაშაულობის პრეზუმციასაც, რადგან პიროვნების მიმართ არ დამტკიცებულა ჯერ ბრალი, აუდიტს დასკვნა არ აქვს დადებული, ამასთანავე საქმე ძიებაშია და მე რა პასუხი უნდა გაგცეთ მაშინ, როცა ჯერ საქმე შესაბამის უწყებებში განიხილება“ - განაცხადა ამირან ცინცაძემ.

აქვე დავით სირაბიძემ ამირან ცინცაძეს განუმარტა, რომ მან არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმციას, რადგან ის არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ ჭრილში ეკითხებოდა. აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თუ გრძნობდა, როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი.

ამირან ცინცაძემ ამასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობდა აუდიტის მიერ შემოწმება, რომელიც შემდგომ დაწერდა დასკვნას, სადაც გამოჩნდებოდა ყველაფერი ამ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო რაც შეეხებოდა იმას, რომ გიორგი ბარამიძე მისი სიძეა ამირან ცინცაძე განმარტავდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამ ფაქტზე მისი ბრალეულობა და პასუხისმგებლობაც იკვეთებოდა. იქ თუ რაიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი ამას გამოავლენდა აუდიტი. მისი თქმით გიორგი ბარამიძე რა თანამდებობაზეც იყო მას არ დაუნიშნავს, არც სამსახურეობრივად ყოფილა მის დაქვემდებარებაში. აქედან გამომდინარე მის სამსახურეობრივ საქმიანობაზე შეფასებას ვერ გააკეთებდა. მითუმეტეს მაშინ როცა აღნიშნულ ფაქტზე უკვე ისეც მიმდინარეობდა შესაბამისი უწყებების მხრიდან შესწავლა/ძიება. ,,თქვენი აზრი კი გასაგებია ბატონო დავით, თქვენ სხვანაირად ვერც იტყვით და ჩემი პასუხიც არის ის, რომ რაიმე ჩემი ბრალეულობა აქ არ არის და შესაბამისად, არც რაიმე პასუხისმგებლობას ვგრძნობ ამ თემასთან დაკავშირებით“- განაცხადა ამირან ცინცაძემ.

დავით სირაბიძემ იკითხა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა აიღოს უნდა თუ არა ამ თემაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა?

რაზეც ამირან ცინცაძემ უპასუხა, რომ მან არ იცოდა ვის რა პასუხიმგებლობა უნდა დაკისრებოდა და ამ თემაზე მეტი კომენტარი აღარ გააკეთა.

აღინშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე რომან დავითაძემაც გააკეთა განცხადება და დავით სირაბაძეს უპასუხა, რომ ეს თემა საკრებულოს სხდომაზე არ იყო განსახილველი. ის თუ რა სატელეფონო საუბარი შედგა ჟურნალისტსა და გიორგი ბარამიძეს შორის ამაზე შესაბამისი უწყებების მხრიდან ისეც მიმდინარეობდა შესწავლა და პასუხიც მათი მხრიდან გაიცემოდა. ამიტომ მისთვის მიუღებელი და გაუგებარი იყო ამ თემაზე ვინმეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ან მუნიციპალიტეტის მერს პასუხისმგებლობა როგორ ან რატომ უნდა აეღო. ჯერ დადგინდებოდა თუ არა ის რეალობა, რაზეც საუბრობდა გიორგი ბარამიძე, ესეც წინასწარ არავინ იცოდა, შეიძლება სულ არ არსებობდა ასეთი ფაქტი და სულაც არარეალურად პასუხობდა კითხებს. ამიტომ რომან დავითაძეს გამოძიების დასრულებამდე წინასწარი შეფასებების გაკეთება არასწორად მიაჩნდა.

დავით სირაბიძემ კვლავ აღნიშნა, რომ სამართლებრივ მხარეს ის არ ეხებოდა, არც უდანაშაულობის პრეზუმციას არღვევდა, ვინ დამნაშავეა და ვინ უდანაშაულო ამას მან არც ამტკიცებდა. უბრალოდ ის, როგორც საკრებულოს წევრი კითხულობდა, ინტერვიუში, სატელეფონო საუბრის ჩანაწერის მიხედვით გაჟღერებული იყო ფრაზა, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ორჯერ-სამჯერ ირიცხებოდა ხელფასი და საკრებულო, კონკრეტულად კი, ეს სხდომათა დარბაზი თუ არ იყო ის ადგილი, სადაც ეს კითხვა უნდა დასმულიყო მაშინ აინტერესებდა, სხვა სად უნდა დაესვა აღნიშნული საკითხი მას როგორც საკრებულოს წევრს.

რომან დავითაძემ დავით სირაბიძეს ამასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ვიდრე არ დადგინდებოდა ამ ფაქტების რეალობა, წინასწარ ვერავინ ისაუბრებდა ამ თემაზე. საქმე პროკურატურაშია, საკითხს აუდიტი სწავლობს და საბოლოოდაც შესაბამისი უწყებების მიერ მოხდებოდა პასუხის გაცემაც.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -17
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ნოემბრის №01-06/20 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223193-95, 15.11.2022 წელი.) და განმარტა, რომ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე). მოქალაქეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და იურიდიულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შეეძლებოდათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2022 წლის 21 ნოემბრის დღის 18:00 საათამდე საკრებულოს აპარატში. საკრებულოს დარგობრივ კომისიებს კი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი დასკვნების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში წარდგენა შეეძლებოდათ არაუგვიანეს 23 ნოემბრისა, ხოლო კომისიების სხდომები ჩატარდებოდა შემდეგი თანმიმდევრობით:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისის სხდომა - 22 ნოემბერი, 12:00 საათი (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი);

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა - 22 ნოემბერი, 14:00 საათი (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი);

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - 22 ნოემბერი, 15:00 საათზე (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი);

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია - 22 ნოემბერი - 16:00 საათი (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი);

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა - 24 ნოემბერი, 16:00 საათი (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი).

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა ჩაინიშნა 2022 წლის 23 დეკემბერს დღის 16:00 საათზე (მის.: დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 30 დეკემბერი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ჯემალ ტაკიძეს ჰკითხა, თუ მოხდებოდა ბიუჯეტის პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილზე მისვლით განხილვა, რათა მოსახლეობასთან მაქსიმალურად მოხდეს ბიუჯეტის მიტანა და მათი იდეების ასახვა, რადგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ინტერნეტის უქონლობის გამო წვდომა არ აქვთ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ბიუჯეტის პროექტზე, ამიტომ მისი აზრით კარგი იქნებოდა ადმინისტრაციულ ერთეულებში გასვლით ჩატარებულიყო საჯარო განხილვა. აქვე იკითხა მედიკამენტებზე გამოყოფილი თანხის გაზრდა თუ ხდებოდა ამ წლის ბიუჯეტით, რადგან ბაზარზე წამლის ფასი ყოველდღიურად მატულობდა და შესაბამისად, თანხაც ამ პროგრამისა გაზრდას საჭიროებდა.

კითხვებთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი მაქსიმალურად მორგებული იყო მუნიციპალიტეტის მცხოვრებელთა საჭიროება-მოთხოვნას. მისი განმარტებით, ბიუჯეტის ფორმირების პროცესის დროს კეთდებოდა აღნიშნული ტიპის გამოკითხვები. მერის წარმომადგენლების მეშვეობით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში დარიგდა დაახლოებით ათასამდე ანკეტა და სწორედ ამ კითხვარების მეშვეობით ისაზღვრებოდა პრიორიტეტები, რომელიც შემდგომ ისახებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ჯემალ ტაკიძემ ასევე აღნიშნა, რომ მანამდე მოსახლეობასთან შეხვედრებიც აქტიურად მოხდა ყველა თემში. ამჟამად ბიუჯეტის საჯარო განხილვა ადმინისტრაციულ ერთეულებში გასვლით ვერ მოხდებოდა, თუმცა ბიუჯეტის საჯარო განხილვისას მაქსიმალურად ინფორმირებული ჰყავთ მერის წარმომადგენელები, რომლებსაც მოსახლეობასთან მიაქვთ ეს ინფორმაცია და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დაესწროს ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო განხილვას, რომელიც ყოველთვის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში ტარდებოდა. რაც შეეხებოდა, მედიკამენტების პროგრამას წინა წლის ბიუჯეტით 300 000 ლარი იყო, ამ წლის ბიუჯეტით კი 350 000 ლარით არის გათვალისწინებული, თუმცა ჯემალ ტაკიძემ აქვე განმარტა, რომ ვინაიდანაც პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სტატისტიკა ყოველწლიურად იცვლებოდა შესაძლოა ამ პროგრამას კიდევ დამატებოდა თანხა და ბენეფიციართა მატების გამო პროგრამაში ცვლილება განხორციელებულიყო. აქვე ისიც თქვა, რომ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მომართვიანობა პირველივე კვარტალშივე ძალიან მაღალია და მეორე კვარტალში თითქმის პროგრამის სრული ნაწილი შესრულებული ჰქონდათ.

ამირან ცინცაძემაც ისაუბრა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ზრუნავდა მოსახლეობის პრობლემებზე და მედიკამენტური საჭიროება იქნებოდა ეს თუ ოპერაციული, რაზეც მათი მომართვა ხდებოდა მერია მაქსიმალურად ცდილობდა დახმარების გაწევას და თუ პროგრამას სოციალური ქულით ვერ აკმაყოფილებდა მოქალაქე, ოპერაციული დაფინანსების უზრუნველყოფა სარეზერვო ფონდიდან ხდებოდა. ამირან ცინცაძემ აქვე სთხოვა საკრებულოს წევრებს, რომ

ბიუჯეტის პროექტს დეტალურად გაცნობოდნენ და შენიშვნები ექნებოდათ თუ წინადადებები ოფიციალური სახით წარმოედგინათ 24 ნოემბრამდე, რადგან 25 ნოემბერს მოეხდინათ ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით დაებრუნებინათ მერიისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: №გ-95.95223211, 17.11.2022 წელი.)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**